თინათინ ცაავა

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა

მიუნხენის ბიზნესის სკოლა, გერმანია

მიუნხენის ბიზნეს სკოლაში (MBS) გატარებული გაცვლითი სემესტრი ჩემი აკადემიური და პიროვნული განვითარებისთვის უდიდესი შესაძლებლობა იყო. სწავლა საოცრად საინტერესო და მრავალფეროვანი გამოცდილება აღმოჩნდა – დისკუსიებით, დებატებითა და ჯგუფური პროექტებით სავსე ლექციები სწავლის პროცესს გაცილებით დინამიკურს და დასამახსოვრებელს ხდიდა. ლექტორები სტუდენტების კრიტიკულ აზროვნებას, დამოუკიდებელ ანალიზს და აქტიურ ჩართულობას ახალისებდნენ, რაც ჩემს აკადემიურ მიდგომაზე ძალიან პოზიტიურად აისახა. ამ სემესტრმა დამანახა, რამდენად სასიამოვნო არის სწავლა, როდესაც იგი ინტერაქციულ და პრაქტიკულ გამოცდილებასთანაა დაკავშირებული.

თუმცა, გაცვილითი პროგრამა მხოლოდ აკადემიური განვითარება არ ყოფილა - ეს იყო შესაძლებლობა, გამეცნო სხვადასხვა კულტურა, მეპოვა საერთო ინტერესები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებთან და გამომემუშავებინა ახალი უნარები. ეს იყო დაუვიწყარი პერიოდი, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა. ახალ გარემოში ცხოვრება, განსხვავებული კულტურების გაცნობა და ახალი მეგობრების შეძენა უდიდესი გამოცდილება იყო. მიუნხენი საერთაშორისო და შესაძლებლობებით სავსე ქალაქია, სადაც თითოეული დღე საინტერესო იყო. დამოუკიდებლად ცხოვრება დამატებითი გამოწვევა იყო, რომელმაც საკუთარ თავზე უკეთ გაგების და პიროვნულად გაზრდის შანსი მომცა.

ყოველთვის ვიცოდი, რომ კავკასიის უნივერსიტეტი სტუდენტებს ასეთ შესაძლებლობებს სთავაზობდა, და ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, რის გამოც ეს უნივერსიტეტი ავირჩიე. დღეს ვგრძნობ, რომ ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება და უსაზღვროდ მადლიერი ვარ. მიხარია, რომ ეს შესაძლებლობა გამოვიყენე, რადგან ეს სემესტრი აკადემიური და პიროვნული ზრდის მნიშვნელოვან ეტაპად მექცა.